თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. თელავი 22.11.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - **დავით გოგოშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი**; ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**; სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**; ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები" თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი**, საკრებულოს წევრი **აბრაამ მახარიაშვილი**, საკრებულოს წევრი **ლევან მრელაშვილი**.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიგა ორკოდაშვილი**, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე - **დავით ღაღანიძე**; სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი**; ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი**; ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მწვანეები" თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი**, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი**; ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ქიზიყელაშვილი**; ფრაქციის ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე **არჩილ თვალიაშვილი**; ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი**, ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე **ბაადურ რევაზიშვილი**; ფრაქციის ,,ძლიერი

სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე,** ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ნაცარაშვილი,** საკრებულოს წევრები: ნიკოლოზ მაისურაძე, ზაქარია გრიშიკაშვილი.

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს იურიდიულ კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;** მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ფ. ყუშიტაშვილი,** მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე,** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის **ნათია ვაყელიშვილი,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი.**

მოქალაქეები: **მაკა მოსიაშვილი** და **არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> კომისიის თავმჯდომარემ დავით გოგოშვილმა აღნიშნა, რომ კომისიას შემუშავებული აქვს გარკვეული სახის რეკომენდაციები თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. რომლებიც წერილობით ჩაიგზავნება მუნიციპალიტეტის მერიაში.

კომიისიის წევრმა გიგა მამუკელაშვილმა წარმოადგინა თითოეული ინიციატივა, რომლებიც მოწოდებული იყო საკონსულტაციო საბჭოს მიერ და რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში :

1. თელავის მერიის ადმინისტრაციულ შენობათან, თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრთან და პარკ ნადიკვართან პანდუსების მოწყობითვის თანხის გამოყოფა.

2. მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან; შშმ პირებისათვის ხმოვანი სიგნალის დამონტაჟებისთვუის თანხის გამოყოფა

3. სააკაძის ქუჩაზე ე.წ იორდანეს წყალთან არსებული კედლის მომზადება მისი შემდგომი street art - ის მიერ გამოყენებისთვის.

4. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების - ზებრების განახლება/გადაღებვისათვის და შუქნიშნების მოწესრიგებისათვის თანხის გამოყოფა.

5. თელავის ბაზართან ქვეითების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ტროტუარების მოწესრიგებისათვის და ტაქსების გაჩერების ადგილის რეგულირებისათვის თანხის გამოყოფა.

6. შშმ პირებისთვის ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფა.

7. ქალაქ თელავში რუსთაველისა და ჩოლოყაშვილის ქუჩებზე საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე განთავსებული საკომუნიკაციო ჭების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად თანხის მობილიზება.

ზ. გრიშიკაშვილმა დასვა კითხვა შშმ პირებთან დაკავშირებით. ჩატარდა თუ არა კვლევა რამდენი ბენეფიციარი საჭიროებს ჰიგიენური საშუალებებით დახმარებას. ნ. მაისურაძემ განმარტა, რომ ჩატარებული იქნა კვლევა, რის საფუძველზეც დადგინდა თელავის მუნიციპალიტეტში ბენეფიციარების რაოდენობა და შეიქმნა სპეციალური პროგრამა.

კომისიის წევრების მიერ დაისვა შეკითხვები ახალგაზრდულ ღონისძიებებთან, ჟურნალების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხასთან და ასევე ხმის ჩამწერი სტუდიის შესაძენად გათვალისწინებულ თანხასთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთეს ნ. ვაყელიშვილმა და ფ. ყუშიტაშვილმა.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპისთვის არ არის მიზანშეწონილი ხმის ჩამწერი სტუდიის შესყიდვა და უკეთესი იქნება თუ აღნიშნულისათვის გამოყოფილი თანხის მობილიზება მოხდება სხვა მიმართულებით.

მოქალაქე ა. მჭედლიშვილმა დასვა კითხვები ახალგაზრდულ დოკუმენტთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა გ. ორკოდაშვილმა.

ლ. მრელაშვილმა დასვა კითხვა, იმასთან დაკავშირებით , რომ დაგეგმილია სკოლამდელ დაწესებულებებში ხელფასის ზრდა და აღნიშნული თანხები არის თუ არა გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში. რაზეც ნ. ვაყელიშვილმა განმარტა, რომ ზემოთანიშნული თანხები მობილიზებულია 2020 წლის ბიუჯეტში.

კითხები დაისვა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში: კისისხევში, აკურასა და ვანთაში სასმელი წყლის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით. თუ რატომ შეირჩა აღნიშნული სოფლები გამრიცხველიანებისთვის. დ. ქსოვრელიშვილმა განმარტა, რომ გამრიცხველიანება ამ ეტაპზე დაგეგმილია, როგორც საპილოტე პროგრამა და განხორციელდება იმ სოფლებში სადაც მოხდა სასმელი წყალის რეაბილიტაცია.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები (თან ერთვის კომისიის დასკვნა) გადაიგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიაში, მათი 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დ. გოგოშვილი